ხელშეკრულება №01-38/172

ქ. ბათუმი

6 დეკემბერი 2015 წელი

ერთის მხრივ, სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო, (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის მ/შ ჯუმბერ აბულაძის სახით და მეორეს მხრივ, ფიზიკური პირი თამაზ დევდარიანის სახით (ს/კ N 01001030407) (შემდგომში - მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოში მოქმედი სხვა კანონმდებლობით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი
1.1 ხელშეკრულების საგანია სასტუმროს მომსახურების შესყიდვა(CPV70200000).
1.2. სასტუმროს მომსახურება გულისხმობს პერსონის უზრუნველყოფას სასტუმროში (სასტუმროს ტიპის სახლი) დაბინავებით (ერთ ან ორ ადგილიან ნომრებში) შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის საფუძველზე და შესაბამისად.
1.3. ყოველ ჯერზე სასტუმროში განსათავსებელი სტუმრების რაოდენობა და დაბინავების ხანგრძლივობა განისაზღვრება შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნით.

2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება.
2.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულება განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფასთა ცხრილის (დანართი №1) შესაბამისად, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.
2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 300 (სამასი) ლარს (დანართი N1–ის მიხედვით), საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი
3.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ.თბილისი, გლდანი, მე-2 მკრ კორ.36 ბ.19

4. სასტუმროს ნომრების დაჯავშნის პირობები
4.1. მიმწოდებელმა უნდა დაჯავშნოს სასტუმროს ნომრები შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შესაბამისად აღნიშნული მოთხოვნის დღესვე.
4.2. შემსყიდველმა ორგანიზაციამ სასტუმროში განსათავსებელი სტუმრების რაოდენობა უნდა აცნობოს მიმწოდებელს განთავსების დღემდე 1 დღით ადრე ან რამდენიმე დღით ადრე.
4.3. შემსყიდველი იტოვებს უფლებას სრულად ან ნაწილობრივ გააუქმოს ნომრების დაჯავშნა, დაჯავშნის გაუქმებისთვის მიმწოდებლის მხრიდან მასზე ყოველგვარი ჯარიმის თუ პირგასამტეხლოს დაკისრების გარეშე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მისი ფაქტობრივი მიწოდების და მხარეთა შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6. ანგარიშსწორების ფორმა, ვადა და ადგილი
6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
6.2. მიმწოდებელს აუნაზღაურდება ყოველი მოთხოვნის საფუძველზე ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულება, შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 20 დღის ვადაში.
6.3 ანაზღაურების ადგილია ქ.ბათუმი, ვახტანგ გორგასალის ქ.124.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი
7.1. შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.
7.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება.

7.3. მიმწოდებელი ვალდებულია:
- მიაწოდოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- მიმწოდებელმა სრულად უნდა უზრუნველყოს ნომრებში და მთლიანად სასტუმროს შენობაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა.
- უზრუნველყოს სტუმრების ისეთ ორ ადგილიანი ოთახში დაბინავება სადაც ერთმანეთისაგან იქნება გამიჯნული საწოლები.

7.4. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას. დავა და მისი გადაწყვეტის წესი
8.1. მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2. წამოჭრილი დავა ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყდეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9. ფორს-მაჟორული სიტუაციები
9.1. მხარეები პასუხისმგებელნი არ არიან თავიანთ ვალდებულებათა შეუსრულებლობაზე, თუ ის გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა: საომარი მოქმედებები, წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა, სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე წინასწარ გაუთვალისწინებელი, აუცდენელი, მხარეების ნებისგან დამოუკიდებელი ობიექტური გარემოებები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.
9.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების, მათი გამომწვევი მიზეზების
შესახებ.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
ხელშეკრულება ძალაშია 2015 წლის 6 დეკემბრიდან და მოქმედებს 2016 წლის 25 იანვრის ჩათვლით.

11. სხვა პირობები
11.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
11.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები, მხარეების წარმომადგენელთა ხელმოწერები, ბეჭედი

<u>შემსყიდველი ორგანიზაცია</u>:

სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო
მის: ქ.ბათუმი, ვახტანგ გორგასალის ქ. 124
მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ანგარიშის N 740397499
მ/ბ სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი TRESGE22
ს/კ 245631428

სააგენტოს უფროსის მ/შ
ჯუმბერ აბულაძე

<u>მიმწოდებელი:</u>

ფ/პ: თამაზ დევდარიანი
მისამართი: ქ.თბილისი, გლდანი, მე-2 მკრ კორ.36 ბ.19
საბანკო რეკვიზიტები:
TBC ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ს/კ 203828304
ა/ა---GE78 TB77 0264 5063 6000 26
პ/ნ 01001030407

ფ/პ თამაზ დევდარიანი

დანართი 1
2015 წლის 6 დეკემბრის N01-38/172 ხელშეკრულებაზე

ინფორმაცია ფასების და მიწოდების გრაფიკის შესახებ

მოწოდების ადგილი	რაოდენობა	დღე	ღირებულება	თანხა
ქ.თბილისი, გლდანი, მე-2 მკრ კორ.36 ბ.19	2	10	30 ლ	300 ლ
სულ				300 ლარი

სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს
უფროსის მ/შ

ჯუმბერ აბულაძე

ფ/პ:

თამაზ დევდარიანი